# კორონავირუსის გამო ევროპულმა სასამართლომ საქმეთა განხილვისთვის განსაკუთრებული ზომები მიიღო

კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე გადადის. ამ მიზნით ევროპულმა სასამართლომ არაერთი ზომა მიიღო. სასამართლოს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად:

- სასამართლოს ძირითადი საქმიანობა და განსაკუთრებით, პრიორიტეტული საქმეების განხილვა პრინციპში შენარჩუნდება. ამ მიზნით, სასამართლო გადავიდა დისტანციურ მუშაობაზე მისი ამოცანების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად;

- სასამართლომ შეიმუშავა პროცედურები, რეგლამენტის 39-ე წესის მიხედვით, დროებითი ღონისძიების მიღების თაობაზე წარდგენილი გადაუდებელი მოთხოვნის განხილვასთან დაკავშირებით;

- სასამართლოს შენობა აღარ არის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი. 2020 წლის მარტის და აპრილის თვეებში ჩანიშნული საქმის ზეპირი მოსმენები გაუქმდა შემდგომი

გადაწყვეტილების მიღებამდე;

- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 35-ე მუხლით დადგენილი საჩივრის შეტანის ექვს-თვიანი ვადის მოქმედება გამონაკლისის სახით შეჩერებულია ერთი თვის ვადით. აღნიშნული ერთ-თვიანი ვადის ათვლა 2020 წლის 16 მარტიდან დაიწყება;

- საქმეებში მხარებისთვის განსაზღვრული ყველა მიმდინარე ვადა შეჩერდება ერთი თვით, რომელიც 2020 წლის 16 მარტიდან აითვლება.

სასამართლოს განმარტებით, მიღებული ზომები მუდმივ გადახედვას დაექვემდებარება მოვლენათა განვითარების შესაბამისად.